



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 15.10.2020 წლის №090/20<sup>1</sup>  
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*თორნიკე აბუსელიძე (სტუდენტი)*

**ფაქტები**

საჩივრის ავტორი წარმოადგენს ბრალდებულის ადვოკატს, რომელსაც ბრალდებულის მეორე ადვოკატმა სასამართლოს სხდომის მიმდინარეობისას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. კერძოდ, სხდომის დასრულების შემდეგ, სასამართლოს ეზოში ადვოკატმა მას მიმართა დამცინავი და დამამცირებელი ფრაზებით: „ჩემო ტურფა“ და „ჩემო ანგელოზო“. მოპასუხე ადვოკატმა არ წარმოადგინა ახსნა-განმარტება.

**პროცესუალური ისტორია**

საჩივრის ავტორმა მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება

**სამართლებრივი შეფასება**

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის ქცევა შეამოწმა შემდეგი ნორმების ფარგლებში: ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7). ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1). ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. სასამართლო სხდომის ოქმის გამოკვლევის შედეგად არ დასტურდება ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. ეთიკის კომისიაში საქმის წარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს, რომ მხარემ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად თავად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატის არაკოლეგიალურ ქცევას. საქმეში წარმოდგენილი ჩანაწერები არ ასახავს ადვოკატებს შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში მომხდარ ინციდენტს, შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატის მიერ ისეთი რეპლიკების გამოყენების ფაქტი, როგორებიცაა: „ჩემო ტურფა“ და „ჩემო ანგელოზო“. თუნდაც ადვოკატს, საჩივრის ავტორისათვის მიემართა ზემოთ აღნიშნული ფრაზების გამოყენებით, აღნიშნული მაინც არ შეფასდება საჩივრის ავტორის სიტყვიერ შეურაცხყოფად, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იკვეთება ადვოკატის ბოროტი განზრახვა, რომელიც კოლეგის დამცირებას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვას ისახავდა მიზნად.

**დასკვნა**

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ აღიძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ, რადგან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დადასტურდა ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა (ეთიკის კოდექსი, მუხლები 7, 10.1).

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/62133e163b690.pdf/090-21,%20ar%20aghdzvra,%2004.10.21.pdf>